პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 216
(5766)

1976 წ.
31
ოქტომბერი
კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

29 ოქტომბერს
მოსკოვში,
კრემლის
დიდ სასახლეში,
მუშაობა დაამთავრა
სსრ კავშირის
მეცხრე მოწვევის
უმაღლესი საბჭოს
მეხუთე სესიამ

მილიონთა სპარტაკიადა

სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადა 1978-79 წლებში ჩატარდება. როგორც უწინ, სასპარტაკიადო შეჯიბრებები რამდენიმე ეტაპად მოეწყობა: დაწყებული მშდ კომპლექსის მრავალჭიდსა და სპორტის ცალკეულ სახეობებში საწარმოებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებსა და სამხედრო ნაწილებში გამართული მასობრივი შეჯიბრებებიდან მეხუთე, დასკვნით ეტაპამდე — ფინალურ ასპარეზობამდე, რომელიც 1979 წლის ივლის-აგვისტოში მოსკოვსა და ტალინში გაიმართება. დასკვნითი სტარტების პროგრამაშია შეჯიბრებები სპორტის ყველა ოლიმპიურ სახეობაში (ბალახის ჰოკეიში ასპარეზობა პირველად ტარდება), აგრეთვე, სამბოში, ჩოგბურთსა და ჭადრაკში. ზოგიერთ სახეობაში ფინალში პირველად იასპარეზებენ უცხოელი სპორტსმენებიც.

სპარტაკიადის ვადებისა და პროგრამის შესახებ ლაპარაკია საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სპორტკომიტეტის 28 ოქტომბრის დადგენილებაში. (საკდესი).

მასობრივი სპორტის დღესასწაული

ტაშკენტი. 30 ოქტომბერს (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირის III ჩემპიონატი მშდ კომპლექსის მრავალჭიდში „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე, რომელიც აქ მიმდინარეობს, საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ჭეშმარიტ ზეიმად იქცა. სხვადასხვა ასაკის მილიონობით ადამიანმა გაიარა სამშობლოს დაცვისთვის მზადყოფნის შემოწმება, რათა საუკეთესონი ბოლოს აქ, ტაშკენტში შეკრებილიყვნენ და ქვეყნის ჩემპიონის ტიტულისთვის ებრძოლათ. უზბეკეთის დედაქალაქში საასპარეზოდ, მოკავშირე რესპუბლიკებიდან, მოსკოვიდან და ლენინგრადიდან ჩამოვიდა 410 ოქროს სამკერდე ნიშნის მფლობელი. საკავშირო სპორტკომიტეტისა და პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო პარალელურად აქვე ატარებენ თათბირ-სემინარს მშდ კომპლექსის აქტუალურ საკითხებზე.

ასპარეზობაზე საპატიო სტუმრებად მოწვეულნი არიან ქვეყნის სახელგანთქმული სპორტსმენები — ოლიმპიადის, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები. სულ ტაშკენტში 1000-ზე მეტმა სტუმარმა მოიყარა თავი.

„პახთაქორის“ სტადიონზე ჩემპიონატი საზეიმოდ გაიხსნა. მონაწილეებს მიესალმნენ უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ამ შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ხოჯაევი, „კომსომოლსკაია პრავდის“ მთავარი რედაქტორი ლ. კორნეშოვი, საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ივონინი და ტურნირის მთავარი მსაჯი, მფრინავი-კოსმონავტი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ა. ლეონოვი.

ასპარეზობის გახსნის მაუწყებელი ცეცხლი აანთო უზბეკეთის პირველმა სპორტის ოსტატმა მშდ კომპლექსის მრავალჭიდში ვ. სიდაშოვამ. როგორც აქ აღნიშნავენ, ასეთი მასობრივი სპორტული ზეიმი ტაშკენტს არ ახსოვს.

საქართველოს გუნდის ხელმძღვანელობის აზრით, ტყორცნა და რბენა, რაც პირველი დღის პროგრამაში იყო შეტანილი, ჩვენი სპორტსმენებისთვის აქილევსის ქუსლია. მაგრამ, როგორც უკვე ვიუწყებოდით, სტარტი არცთუ უიღბლო გამოდგა. ჩვენი გუნდის ყველა წევრმა აქ გაცილებით უკეთ იასპარეზა, ვიდრე რესპუბლიკური ტურნირის ფინალში. გამარჯვებისთვის ბრძოლა კი ახლა ბევრად უფრო ძნელია, ვინაიდან სარბიელზე გამოდის 130 სპორტის ოსტატი და სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 108 პირველთანრიგოსანი და ორი საერთაშორისო კლასის ოსტატი.

I და II საფეხურების პროგრამით ჩვენმა გუნდმა ჩოგბურთის ბურთის ტყორცნასა და 60 მეტრზე რბენაში რსფსრ-ს და მოსკოვის კოლექტივებს აჯობა. დღეს ჩვენი ნორჩი სპორტსმენები სიგრძეზე ხტომაში ასპარეზობდნენ. ბიჭებიდან კვლავ წარმატებით გამოდის გეგეჭკორელი პ. სურმავა, რომელიც 60 მეტრზე რბენის შემდეგ III ადგილზე იყო. ახლა იგი 531 სმ სიგრძეზე გადახტა და ქულათა მაქსიმუმი (45) მიიღო. ამის მიუხედავად, სურმავა VI ადგილზე აღმოჩნდა. იგი პირველი საფეხურის მრავალჭიდში მოასპარეზეთა შორის საპრიზო ადგილისთვის იბრძვის.

ბათუმელი თ. კაკაბაძე, რომელიც მეორე საფეხურის პროგრამით გამოდის, პირველი ცდისას 6 მეტრზე გადახტა, მაგრამ წესი დაარღვია და ნახტომი არ ჩაეთვალა. საბოლოოდ მისი შედეგი 534 სმ. ასპარეზობის ორი დღის მერე კაკაბაძე უძლიერესთა ათეულშია.

გოგონები შედარებით უფერულად გამოდიან. თბილისელმა მ. ბოროდინამ 397 სმ. აჩვენა, ბათუმელი ლ. ჟავორონკოვა 416 სმ სიგრძეზე გადახტა და მეოთხე ადგილიდან მეხუთეზე გადაინაცვლა.

მესამე საფეხურის მრავალჭიდელთა შეჯიბრებაში საქართველოს გუნდის წევრები, დები კლარა და კლავდია გუმბები და ლ. სანეაპოვა ჯერჯერობით დიდ წარმატებას ვერ აღწევენ. ხელყუმბარის ტყორცნაში სამივემ უფრო ნაკლები ქულა მოაგროვა, ვიდრე საშუალო დონის ნიშნოსანს შეეძლო. კლავდიამ სროლაში მდგომარეობა ერთგვარად გამოასწორა — 100—დან 93 ქულა მოაგროვა და ამ სახეობაში VI-X ადგილებს იყოფს. კლარამ სროლაში 89 ქულა დააგროვა, სანეაპოვამ — 82.

ГОТОВ К ТРУДУ И ОБОРОНЕ СССР

მეოთხე საფეხურის პროგრამით მოასპარეზე ქალთა შორის საქართველოს გუნდის წევრებიდან საუკეთესო იყო სოხუმელი სტუდენტი ც. კამლია. ხელყუმბარის ტყორცნაში მან 54 სპორტსმენს შორის მეექვსე შედეგი (42,66) აჩვენა. ვაჟებიდან ამავე საფეხურის პროგრამით თბილისელმა მწვრთნელმა მ. ქათამაძემ 100 მეტრი 11,8 წამში გაირბინა, რამაც XII ადგილი მოუტანა.

მეხუთე საფეხურის პროგრამით შეჯიბრებაში საქართველოს გუნდის წევრები ათეულს მიღმა არიან.

თ. გაჩეჩილაძე.

გუშინ...

რაგბი

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა ევროპის პირველობის მატჩი რეგბიში „ბ“ ჯგუფის გუნდებისთვის. სსრ კავშირის ნაკრები მასპინძლობდა შვეციის ეროვნულ გუნდს. მატჩი საბჭოთა სპორტსმენთა უპირატესობით ჩატარდა და დამთავრდა მათი გამარჯვებით ანგარიშით 72:0.

მატჩის საუკეთესო მოთამაშეების დასაჯილდოებლად ქუთაისის სახლმშენებელმა კომბინატმა დააწესა სპეციალური პრიზები. ჟიურიმ ჯილდოები მიაკუთვნა ი. კარპუხინსა (სსრ კავშირი) და უ. ებერგს (შვეცია).

ფეხბურთი

ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ უმაღლესი ლიგის გუნდები — თბილისის „დინამო“ და ლენინგრადის „ზენიტი“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით — 1:0 (ბურთი 67-ე წუთზე გაიტანა ჩივაძემ).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა წლევანდელ სეზონში მოპოვებული წარმატებებისთვის, „ა“ კლასის II ლიგის I ზონაში მოპოვებული I ადგილისთვის, პირველი ხარისხის დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა ლანჩხუთის „გურიის“ ხელმძღვანელობა და ფეხბურთელები.

დაჯილდოებულთა შორის არიან: გუნდის უფროსი გ. დუნდუა, უფროსი მწვრთნელი შ. კაკაბაძე, მწვრთნელი ნ. ნარიაშვილი და ფეხბურთელები — ა. კირვალიძე, ლ. მაყაშვილი, ო. გაბრიჩიძე, ზ. ნემსაძე, გ. თავაძე, რ. მამედოვი, მ. ძაგანია, თ. ჩხაიძე, ბ. მჭედლიშვილი, ლ. გოგუაძე, ტ. სამსონაძე, დ. ჟორდანია, მ. მერაბიშვილი, ვ. ტროიანი, რ. სანაია, ბ. სიხარულიძე, ო. შენგელია.

თავისუფალი დღე

თბილისის სპორტის სასახლეში გუშინ დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების „დინამოს“ და მისი მონათესავე ორგანიზაციების სპარტაკიადა სპორტულ ტანვარჯიშში. სამ დღეს მიმდინარეობდა ლამაზი, მომხიბლავი ასპარეზობა ექვსი ქვეყნის — ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეთა შორის. გამოვლინდნენ საუკეთესონი როგორც გუნდურ, ისე პირად პირველობაში. პარასკევი, 29 ოქტომბერი თავისუფალი დღე იყო...

...დილიდანვე შეიკრიბნენ ჯგუფები სასტუმრო „აჭარის“ წინ. ავტობუსების მოლოდინში ისმის მხიარული საუბარი ქართულ, რუსულ, უნგრულ თუ გერმანულ ენებზე. სპორტსმენები დღეს მაინცდამაინც არ ფიქრობენ რთულ აკრობატულ ილეთებზე, თითქოს სრულიადაც არ აღელვებდეთ შეჯიბრების მოსალოდნელი შედეგები. სულ სხვა ფიქრებით არიან გატაცებული.

საერთოდ, როცა კითხულობენ, რით შეიძლება ადამიანი ბედნიერი იყოსო, ყველა სხვადასხვა პასუხს იძლევა. როდესაც გერმანელ სპორტსმენთა ჯგუფში ლაღად მოკისკისე გოგონას კარინ იანცს შევცქეროდი, ვიფიქრე, რომ სოციოლოგებმა ბედნიერების განმსაზღვრელ ატრიბუტებად ამ გამოჩენილი სპორტსმენის დამახასიათებელი თვისებები და მონაცემები უნდა მიიჩნიონ.

კარინ იანცმა ოცჯერ მოიპოვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონის ტიტული სპორტულ ტანვარჯიშში, ოთხჯერ იყო ევროპის ჩემპიონი, ორჯერ — ოლიმპიური ჩემპიონი, ერთხელ, 1970 წელს, ტანვარჯიშულ სამყაროს მოევლინა, როგორც მსოფლიოს ჩემპიონი.

კარინი უმაღლეს განათლებას ბერლინის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ეუფლება. ამჟამად მეხუთე კურსზეა. სწავლის დამთავრების შემდეგ მუშაობას აპირებს ბერლინის „დინამოს“ ორგანიზაციაში ექიმ-ორთოპედად. თბილისში მას ახლავს საქმრო, ახალგაზრდა სპორტსმენი ბიუტნერ კარლ-ხაინცი, რომელიც სამშობლოში „დინამოს“ ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს კადრების უფროსად მუშაობს.

სტუმრები ავტობუსში სხდებიან. კადრებივით იცვლებიან მათს თვალწინ თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები; გამარჯვების პარკი ვაკეში, უცნობი ჯარისკაცის საფლავი, ცენტრალური ველოტრეკი, მტკვრის სანაპირო, მეტეხი. ყველაფერი, ყველაფერი აინტერესებთ სპორსტმენებს, რომლებიც, თითქმის ყველანი, პირველად არიან თბილისში.

— მომწონს თბილისი, — ამბობს სახენათელი კარინი, — საერთოდ, მიყვარს ბუნება. ჩვენ დროის მეტ ნაწილს სპორტულ დარბაზებში ვატარებთ, ამიტომ, როცა საშუალება მოგვეცემა, ბუნებას დახარბებულნი ვცდილობთ, მთელი თავისუფალი დრო მის წიაღში გავატაროთ. ჩვენი სპორტული ტანვარჯიში, ვარიაციები — ყველაფერი ეს ხომ წაბაძვაა ბუნებაში ნანახი და განცდილი მშვენიერებისა.

შუადღისას სპორტსმენები რკინიგზელთა კლუბში დაესწრნენ ქორეოგრაფიულ-ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ნერგების“ კონცერტს. თავიანთი ქვეყნების „ოლიმპიური იმედები“ — პოლონელი ტარაშუკ ანჟეი, მარეკ მლეკიცკი, ბოჟენა მილევსკაია, ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი მიროსლავ ჩერნი და სხვები მოიხიბლნენ ანსამბლის მიერ შესრულებული საესტრადო სიმღერებით, ცეკვებით. ხოლო, როდესაც სოლისტმა ლალი მანტკავამ დაიწყო სიმღერა „ცისფერი ბრონოდა“, დარბაზი მას ერთხმად აჰყვა ტაშით.

სტუმრები განსაკუთრებით მოიხიბლნენ ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონით. დიდხანს შესცქეროდნენ ვეება არქიტექტურულ ანსამბლს, ტრიბუნებს, შინდორს, რომელიც, გინდა თუ არა, ფეხბურთელი ხარ თუ არა, მაინც გიზიდავს ანდამატივით. სპორტული ნაგებობის სიმშვენიერით აღტაცებულებმა ვერც შენიშნეს, როგორ ჩამორჩა ჯგუფს პოლონელი ბიჭუნა მარეკ მლეკიცკი. ალბათ ოცნებამ მარეკი 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის სარბიელზე გაიტაცა, სადაც, ვინ იცის, იქნებ ჩემპიონიც კი გახდეს. ამჯერად კი დაბნეული მარეკ მლეკიცკი ბორის პაიჭაძემ მიიყვანა სასტუმრო „აჭარაში“ თავისიანებთან.

საღამოს სპორტსმენთა განწყობილება კიდევ უფრო აამაღლა ცირკში „მხიარული დათვების“ წარმოდგენამ. ამით დამთავრდა თავისუფალი დღე.

რ. ბაბუნაშვილი.

* * *

სურათებზე: ანსამბლ „ნერგების“ წევრები სპარტაკიადის მონაწილე საზღვარგარეთელ სტუმრებთან (ზემოთ); კარინ იანცი (ქვემოთ).

ფეტორის ფოტო.

არ დავჯერდეთ მიღწეულს, ვამრავლოთ წარმატებები

პარტიული მუშაკის ტრიბუნა

ფიზკულტურა და სპორტი საბჭოთა ქვეყანაში პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვით არის გარემოსილი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ჩაწერილია: „კომუნიზმზე გადასვლის პერიოდში იზრდება საშუალება ახალი ადამიანის აღზრდისა, რომელშიც ჰარმონიულად იქნება შეხამებული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა“. მართლაც, საბჭოთა კავშირში დღეს იშვიათია ოჯახი, რომლის თუნდაც ერთი წევრი მაინც არ ვარჯიშობდეს სპორტულ სექციებში, სხეულს არ იკაჟებდეს ფიზიკური კულტურით.

ჩვენს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისთვის, ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზემდგომი ორგანოების 1974 წლის 8 ივნისის დადგენილებას.

ამ დადგენილებამ, რომელმაც მნიშვნელოვანი ამოცანები დაგვისახა ფიზკულტურისა და სპორტის რაც შეიძლება ფართოდ დანერგვის მიზნით, მთელ რესპუბლიკაში დიდი გამოხმაურება პოვა. რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა, ფიზკულტურის ძირეულმა კოლექტივებმა პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით, საზოგადოებრივ აქტივთან ერთად უკვე გასწიეს გარკვეული მუშაობა ამ დადგენილების განხორციელებისთვის, ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესებისთვის, მაღალი კლასის სპორტსმენთა აღზრდისთვის.

საქართველოს მშრომელთა შორის დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილებამ, რომელშიც მოწონებულია ბოლო სამი წლის მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში ნეგატიური და ჩვენი ყოფისთვის შეუთავსებელი სხვა მოვლენების აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებები.

თითოეულ მშრომელს ღრმად შთავუნერგოთ აღნიშნული დადგენილებისა და საქართველოს კომპარტიის მესამე პლენუმის გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა — ამ დევიზით მუშაობენ ზუგდიდის რაიონის პარტიული, კომკავშირული, ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები.

რაიონში შექმნილია მოსახლეობაში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის მწყობრი სისტემა, რომელსაც ბევრგან გონივრულად იყენებენ, როგორც მშრომელთა ჯანმრთელობის გაკაჟებისა და შრომისუნარიანობის ამაღლების საუკეთესო საშუალებას. 122 ფიზიკური კულტურის კოლექტივში გაერთიანებულია 16 ათასამდე ფიზკულტურელი. აქედან სექციებში მეცადინეობს 12 ათასამდე, საერთოდ ფიზიკურ მომზადებაში კი ჩაბმულია 2 ათასამდე კაცი. დანარჩენები გაერთიანებული არიან ჯანმრთელობის ჯგუფებსა და ტურიზმის სექციებში. შარშან მომზადდა 2 სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, 2 ოსტატობის კანდიდატი და 85 პირველთანრიგოსანი — ესე იგი, გეგმა შესრულდა 140 პროცენტით. მომზადდა, აგრეთვე, 2 ათასზე მეტი მეორე, მესამე და მოზარდთა თანრიგების სპორტსმენი (გეგმა შესრულებულია 112 პროცენტით), ათასზე მეტი ინსტრუქტორი და საზოგადოებრივი მსაჯი.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკურ და საკავშირო სარბიელზე ბევრმა სპორტსმენმა ისახელა თავი. მეექვსე სპარტაკიადაში წარმატებით იასპარეზეს ზუგდიდელმა მხედრებმა, სპორტის ოსტატებმა გ. ქოჩქიანმა, ძმებმა ზურაბ და მემედ წურწუმიებმა, ალექსანდრე და ვალერი კრაინენკოებმა, ო. ჯაფარიძემ. ა. კრაინენკომ საკავშირო სპარტაკიადის ოქროს მედალი მოიპოვა. ზუგდიდის საცხენოსნო კლუბი (უფროსი დ. ნაჭყებია, უფროსი მწვრთნელი კ. ხარებავა) წლების მანძილზე მაღალ შედეგებს აღწევს. ამ კლუბში მომზადდა 16 სპორტის ოსტატი, ბევრი ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი.

„კოლმეურნის“ ზუგდიდის რაიონული საბჭოს (თავმჯდომარე შ. ჩანგელია) 88 ძირეულ კოლექტივში 7 ათასზე მეტი წევრია გაერთიანებული. ძირითადად ამ ორგანიზაციას ეკისრება მაღალი თანრიგის სპორტსმენთა მომზადება. რესპუბლიკურ სპარტაკიადებში მას ყოველწლიურად 18 სახეობაში 20 გუნდი გამოჰყავს. ბოლო 10 წლის მანძილზე ზუგდიდის „კოლმეურნის“ რაისაბჭოს ცხრაჯერ მიეკუთვნა ამ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. დიდ წარმატებას მიაღწიეს ველომრბოლელებმა, ხელბურთელებმა, მშვილდოსნებმა, ლელობურთელებმა, მოჭიდავეებმა. ფიზკულტურის კოლექტივებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის (დირექტორი გ. შონია, ფიზკულტურის მეთოდისტი გ. გვილავა) ნაყოფიერი მუშაობა. აქ ყველა პირობაა შექმნილი სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლისთვის. ეწყობა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები, ნაყოფიერად მუშაობენ სპორტული სექციები. შარშან მომზადდა 9 პირველთანრიგოსანი , 118 მეორე და მესამე თანრიგების სპორტსმენი. 115 ჭაბუკმა და ქალიშვილმა მშდ კომპლექსის ნორმატივები მთლიანად ჩააბარა. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ეს კოლექტივი ფლობს საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალ წითელ დროშას. სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისთვის ასევე ბევრი გააკეთეს ახალსოფლის, კახათის, ცაიშის, ინგირის, რუხის კოლმეურნეობებმა, ანაკლიის საბჭოთა მეურნეობამ, რომელთა ფიზკულტურულ საქმიანობას უნარიანად უძღვებიან გამოცდილი ინსტრუქტორ-მეთოდისტები: ნ. ქადარია, ლ. გარდავა, ზ. გუგუჩია, ო. შეჟია, თ. არახამია, ნ. ჟვანია. არ შეიძლება არ აღინიშნოს მწვრთნელების ვ. ანჯაფარიძის, კ. ხარებავას, ა. შონიას, ვ. ხვანიძის, ე. კვიციანის, დ. აგახანოვის, ი. გვილიას, ა. შამუგიას ნაყოფიერი საქმიანობა. კვალიფიციური სპორტსმენების მომზადებაში დიდი როლი ეკისრება, აგრეთვე, რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლას, რომელიც 1966 წელს გაიხსნა და პირველი იყო რესპუბლიკაში.

საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის საფუძველია მშდ კომპლექსი, რომელიც სულ უფრო პოპულარული ხდება საბჭოთა ადამიანთა შორის. ისინი ამ კომპლექსში ხედავენ მეცნიერულად დამუშავებულ ვარჯიშთა სისტემას, რომელიც ხელს უწყობს შრომისუნარიანობის ამაღლებას, მხნეობისა და ჯანმრთელობის ხანგრძლივად შენარჩუნებას. როგორ არის საქმე ჩვენთან ამ მხრივ? ვერ ვიტყვით, რომ გამოუვალი მდგომარეობა იყოს. გეგმები სრულდება, მაგრამ ჯერჯერობით ხარვეზებიც გვაქვს. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მნიშვნელოვან წარმატებათა მოპოვებას ბაზების უქონლობაც უშლის ხელს. მდგომარეობის გამოსასწორებლად ჩვენს რაიონში ბევრი რამ გაკეთდება. მაგალითად, უახლოეს ხანში მწყობრში ჩადგება ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის სპორტული კომპლექსი. სპორტული კომპლექსის აგება განზრახულია, აგრეთვე, რუხის კოლმეურნეობა „საქართველოში“, სადაც უკვე დაწყებულია და ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სტადიონის მშენებლობა. ბაზების საკუთარი სახსრებით მშენებლობაში თაოსნობას იჩენენ, აგრეთვე, ახალსოფლის, კახათისა და ცაიშის კოლმეურნეობები. ბოლო ხანს რაიონში მასობრივად ინერგება ჭიდაობა და შედეგებიც თვალსაჩინოა. საჭიროა უახლოეს ხანში აიგოს საჭიდაო დარბაზი, რაშიც ფინანსური დახმარება უნდა გაგვიწიოს „კოლმეურნის“ ცენტრალურმა საბჭომ. და ბოლოს, რაც მთავარია, განზრახული გვაქვს ქალაქის ცენტრში ავაგოთ პიონერთა სასახლე სპორტული კომპლექსით. ამ მხრივ პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა.

ბოლო ხანს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სპორტის ეროვნული სახეობების აღორძინებას. ამ მხრივ ტრადიციას არც ჩვენ ვღალატობთ. „მოსავლის დღების“ ზეიმთან დაკავშირებით ყოველწლიურად ეწყობა რაიონის პირველობები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ახალსოფლის ტერიტორიაზე საცხენოსნო სპორტული კლუბისთვის გამოიყო ადგილი. მალე დაიწყება მშენებლობა ტიპური სტადიონ-იპოდრომისა, რომელსაც ექნება მაყურებელთა ტრიბუნები და ყველა საჭირო აღჭურვილობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში სამართლიანად არის მითითებული სკოლებში ფიზკულტურის სწავლების დაბალ დონეზე, აღნიშნულია, რომ გაკვეთილები უფეროდ, უინტერესოდ ტარდება, სათანადოდ არ ზრუნავენ ნიჭიერ ბავშვთა გამოვლენისთვის, რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სპეციალურ სპორტულ სკოლებში მათი ოსტატობის შემდგომი სრულყოფისთვის. მართლაც, მოზარდს ფიზკულტურისადმი სიყვარული სწორედ სკოლამ უნდა ჩაუნერგოს. სკოლაშივე იწყება ადრეული სპეციალიზაციაც, რომლის გარეშეც დღეს სპორტში მნიშვნელოვან წარმატებებზე ფიქრიც ზედმეტია. ჩვენს რაიონში 68 საშუალო და რვაწლიანი სკოლაა. ბევრგან სერიოზული ყურადღებით ეკიდებიან ფიზკულტურის სწავლების საქმეს. ასე, მაგალითად, ცაიშის საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. შამუგია, ფიზკულტურის მასწავლებელი ხ. კუკავა), ზედა ეწერის (დირექტორი ა. სართანია, ფიზკულტურის მასწავლებელი ჟ. ჩხეტია), ინგირის 1-ლ და მე-2 (დირექტორები ს. ყურუა და კ. ეხვაია, ფიზკულტურის მასწავლებლები პ. ახალაია, ვ. ანჯაფარიძე), ახალსოფლის (დირექტორი ბ. ქადარია, ფიზკულტურის მასწავლებელი გ. გვარამია) საშუალო სკოლებში, ზუგდიდის საშუალო სკოლა-ინტერნატში (დირექტორი გ. გეთია, ფიზკულტურის მასწავლებელი ო. ბედოშვილი), დარჩელის საშუალო სკოლაში (დირექტორი ი. ჩანგელია, ფიზკულტურის მასწავლებელი ბ. ახალაია), კიროვის და ხეცერის რვაწლიან სკოლებში (დირექტორები ბ. ანდრიაძე და რ. კოკაია, ფიზკულტურის მასწავლებლები ბ. ახალაია და ს. ბერაია). მაგრამ ერთეულთა მიღწევები ამინდს ვერ შექმნის. მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მეთოდების გაუმჯობესებას, გაკვეთილების ხარისხის ამაღლებას ყველგან სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. ამ პატრიოტული საქმისადმი ზერელე მიდგომა, ფაქტების შელამაზება დანაშაულს უდრის. ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას ყოველდღიური მზრუნველობა და კვალიფიციური სპეციალისტის ხელი სჭირდება! ამ მხრივ კი, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე როდია. ფიზკულტურის 120 მასწავლებლიდან უმაღლესი განათლება მხოლოდ ოცს აქვს. ასეთ ვითარებაში სერიოზული წარმატების მოპოვება ერთობ ძნელია. საჭიროა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტმა, ქუთაისისა და სოხუმის პედაგოგიურმა ინსტიტუტებმა დახმარების ხელი გამოგვიწოდონ, გაითვალისწინონ საერთო სატკივარი და რაც შეიძლება გაზარდონ მისაღები კონტინგენტი რაიონებიდან მივლინებული ახალგაზრდების ხარჯზე.

მეათე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრ განვითარებასთან ერთად ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ ჩვენს რაიონში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობაც სათანადო სიმაღლეზე იდგეს.

ი. თოდუა,
საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი.

ცხენბურთი

ქ. ჟუჟუნიას ფოტო.

ჩემპიონატი უთბილისელებოდ

ფოთში გაიმართა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში. საასპარეზოდ თავი მოიყარეს აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, მცხეთისა და რუსთავის სპორტსმენებმა. სამწუხაროდ, თბილისის კოლექტივი შეჯიბრებაზე არ გამოცხადდა. როგორც შემდეგ გამოირკვა, თბილისის სპორტკომიტეტმა ვერ უზრუნველყო ფოთში ნავების გადაზიდვა. ცხადია, გუნდის ჩემპიონატზე ჩაყვანას აზრი აღარ ჰქონდა. ამიტომ 40 სპორტსმენი სადგურიდან შინ დააბრუნეს.

ეს პირველი შემთხვევა რომ იყოს, იქნებ არაფერი გვეთქვა. უფრო ადრე ასეთივე ბედი ეწიათ ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნებს.

სათანადო დონეზე არც ჩემპიონატის ორგანიზაცია იდგა. სტარტს ხშირად აგვიანებდნენ, არ იყო ნავების მისადგომი ტივი, სტარტსა და ფინიშს შორის კავშირის დამყარებისთვის არავის უზრუნია. ამ ჩემპიონატის ყოველ სტარტს კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან, როგორც ცნობილია, გაისად II საკავშირო ახალგაზრდული თამაშების პროგრამაში აკადემიური ნიჩბოსნობაც არის შეტანილი და საქართველოს სპორტსმენებს ძალების საფუძვლიანი შემოწმება არ აწყენდათ.

ამ ტურნირმა ერთხელ კიდევ დაგვანახა, რომ ბევრ ქალაქში, სადაც აკადემიური ნიჩბოსნობაა დანერგილი, ინვენტარი არ ჰყოფნით, რის გამოც მწვრთნელებს ნორმალური მუშაობის პირობები არა აქვთ.

ჩემპიონატში სრული გუნდები მხოლოდ აფხაზეთმა და ფოთმა გამოიყვანეს. საბოლოოდ მათ 114-114 ქულა მოაგროვეს, მაგრამ, ვინაიდან მასპინძლებს პირად ტურნირში მეტი ჩემპიონი ჰყავდათ, გუნდური პირველობაც მათ მიეკუთვნათ. ქუთაისელებმა 44 ქულით III ადგილი დაიკავეს, თუმცა 14-დან 8 გაცურვაში სპორტსმენები არ გამოუყვანიათ, მცხეთის კოლექტივმა კი მარტო ვაჟების ხარჯზე (ისინი მესამენი იყვნენ) 41 ქულით საერთო IV ადგილი მოიპოვა.

ქალთა გუნდის გამოყვანა ვერც ბათუმმა შეძლო, რუსთაველები მხოლოდ ოთხი კლასის ნავებით ასპარეზობდნენ, თბილისელთა სახელით კი სარბიელზე სხვების ნავებით გამოვიდა სამსაჯოდ ჩამოსული რამდენიმე კაცი. ეს იყო მიზეზი რომ თბილისის კოლექტივი ბოლო, VII ადგილზე დარჩა.

ეს ფაქტები მიუთითებს, რომ აკადემიურ ნიჩბოსნობას, ფოთისა და სოხუმის გარდა, სათანადო ყურადღებას არსად აქცევენ, თითო-ოროლა სპორტსმენით კი შორს ვერ წავალთ.

საქართველოს სპორტკომიტეტმა აკადემიურ ნიჩბოსნობაში ჩატარებული ჩემპიონატის ორგანიზაცია და შედეგები მკაცრი მსჯელობის საგნად უნდა აქციოს და მდგომარეობის გამოსწორებისთვის საჭირო ღონისძიებაც დასახოს, თორემ II საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში და სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში უთუოდ შევრცხვებით.

რიონზე ასპარეზობაში გამართულ ზოგიერთი კლასის ნავებით გამარჯვებისთვის მხოლოდ ორი კოლექტივი იბრძოდა. მაგალითად, ქალთა შეჯიბრებაში რვაადგილიანებით აფხაზეთისა და ფოთის ეკიპაჟები ჩაებნენ. გამარჯვება აფხაზეთის ნიჩბოსნებს დარჩათ. მეორეთანრიგოსნებმა, სპარტაკელებმა ა. არჩემიამ, ლ. ახვლედიანმა, ო. ტოლკაჩოვამ, ზ. ლარჩენკომ, ს. პივკინამ, ვ. კვარაცხელიამ, ლ. ჩიქოვანმა, მ. რიაბოვამ (მესამე ლ. „უფრო“) 1000 მეტრის გავლას 4.[illegible] მოანდომეს. წყალმოსასხმელიანი ოთხადგილიანებით აფხაზეთისა და ფოთის წარმომადგენელ ვაჟთა ბრძოლა ამჯერად ფოთელი პირველთანრიგოსნების მ. გუჯაბიძის, შ. ადამიას, ა. პატარაიას, თ. კუჭუხიძის (ყველა — „ვოდნიკი“) გამარჯვებით დასრულდა — 6.15,4. მათ აფხაზეთის ნიჩბოსნებს ზუსტად 20 წამით აჯობეს. ამ კლასის ნავებით ქალთა შორისაც ორი ეკიპაჟი იბრძოდა და აქაც მასპინძლებმა იმარჯვეს: ა. დუბოვაიამ, ი. ვოლოშინამ, ა. პილიავამ და ტ. სკაჩესკაიამ (ყველა — „ვოდნიკი“) — 3.55,0. აფხაზეთის „სპარტაკის“ კვარტეტს ფინიშზე 15,8 წამით მაისწრეს.

სხვა ტექნიკური შედეგები

ქალები. ერთადგილიანი. ლ. ლოცუტი (აფხაზეთი, „სპარტაკი“) — 4.21,0, ე. პრისტუპოვა (ფოთი, „ვოდნიკი“) — 4.27,0, ვ. კიაკურანიენი (რუსთავი, „განთიადი“) — 4.37,0. **ორადგილიანი წყალმოსასხმელიანი.** აფხაზეთი (ზ. გოლოვატიუკი, ნ. ქუჯაია, ორივე—„სპარტაკი“) — 4.04,0. ფოთი—4.18,4. **ორადგილიანი უმესაჭო.** აფხაზეთი (ა. არჩემია, ლ. ახვლედიანი) — 4.09,0. რუსთავის „განთიადის“ გუნდი წესის დარღვევისთვის შეჯიბრებიდან მოიხსნა. **ოთხადგილიანი მესაჭით.** მ. დათუაძე (ქუთაისი, „დინამო“), ნ. გორდულაძე (ქუთაისი, „განთიადი“), ნ. დალაქიშვილი, ლ. ხეცურიანი (ორივე — თბილისი „ბურევესტნიკი“) მესაჭე ე. კვინტაძე (ქუთაისი, „განთიადი“) — 4.21,0, ფოთი — 4.27,2, რუსთავი — 4.33,4.

ვაჟები. ერთადგილიანი. ჯ. აბაზაძე (ქუთაისი) — 6.20.0, მ. ჯიჯეიშვილი (ფოთი, „ვოდნიკი“) — 6.34,2, ვ. თიკურიძე (აფხაზეთი, „სპარტაკი“) — 6.41,6. **ორადგილიანი წყალმოსასხმელიანი.** მცხეთა (თ. მგრობია, დ. გეგეჭკორი, ორივე — „სპარტაკი“) — 6.25,4, ქუთაისი — 6.27,4, ფოთი—6,30,4. **გასაშლელი ორადგილიანი.** ფოთი (ს. ფარჯანია, ე. პაჟავა, ორივე — „ვოდნიკი“) — 6.36,0, სოხუმი — 6.41,0, მცხეთა — 6.46,6. **მესაჭიანი ორადგილიანი.** ბათუმი (რ. გაბელაია, თ. ჯანჯღავა, მესაჭე ზ. ეგუტიძე) — 6.43,0, აფხაზეთი — 6.47,2, ფოთი — 6.55,0. **ოთხადგილიანი უმესაჭო.** ფოთი (ვ. ხიმეკი, ა. სიკეჩერი, ვ. სილაგავა, ვ. ქამაკაშვილი, ყველა — „ვოდნიკი“) — 6,07,2, ქუთაისი — 6.12,4, ფოთი (პირადი) — 6.15,6. **ოთხადგილიანი მესაჭით.** ფოთი (გ. ცხომარია — „განთიადი“ ვ. მარკვიჩე, ვ. მიხაილოვი, ვ. პეტრიჩენკო, მესაჭე ს. ტარაძიეკი ყველა — „ვოდნიკი“) — 6.05,2. აფხაზეთი — 6.09,0. მცხეთა — 6.10,0.

რვაადგილიანი. ფოთი (მარკვიჩე, მიხაილოვი, ცხომარია, სიკეჩერი, ხიმეკი, ქამაკაშვილი, პეტრიჩენკო, ს. ბერაია „ვოდნიკი“, მესაჭე ტარაძიეკი) — 5.54,8, ფოთი (მეორე გუნდი, პირადი) — 6.12,8, აფხაზეთი — 6.22,6.

ლამარა ხეცურიანი,
(ჩვენი საკ. კორ.).
ფოთი.

პირველი შთაბეჭდილებები

სსრ კავშირის ქალთა XXXVI ჩემპიონატის ფინალში ისეთი შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა, მისი სპორტული შედეგების წინასწარ გამოცნობა ძალიან ძნელი იყო. ჭადრაკის სასახლის დირექციამ „წინასწარმეტყველთა“ საგანგებო კონკურსიც კი გამოაცხადა, მაგრამ ამ კონკურსის სამოცდახუთივე მონაწილე გაწბილდა. აზრად არავის მოსვლია, რომ ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია ან ი. ლევიტინა ჩემპიონის ოქროს მედალს ვინმეს დაუთმობდნენ, მაგრამ სინამდვილეში ასე მოხდა.

ჯერ კიდევ შეჯიბრების პროცესში გულშემატკივრები გაოცებული კითხულობდნენ: რა დაემართათ აღიარებულ ჩემპიონებსო? არც ჩვენ გვესმოდა მსოფლიო ჩემპიონის მძიმე თამაშის, ნანას მერყეობისა (ერთ პარტიას რომ მოიგებდა, მეორეს აგებდა) და ლევიტინას უხეში შეცდომების სიმრავლის მიზეზი, მით უმეტეს, რომ ზოგ პარტიაში ისინი (მაგალითად, გაფრინდაშვილი ტ. ქივაევასთან) უწინდებურად დიდი ოსტატობით თამაშობდნენ.

ჩვენი აზრით, მსოფლიო ჩემპიონის თამაშზე გავლენა მოახდინა სანდომირის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობამ. როგორც იცით, ნონამ იქ მეორე ადგილი დაიკავა და პირველი პარტია მოუგო დიდოსტატ ვაჟსაც. ცხადია, დაიღალა. საჭირო იყო დასვენება, დამშვიდება. ჩემპიონატამდე კი ათიოდე დღე რჩებოდა. როგორც ჩანს, იგი ჯერ კიდევ სანდომირის შეჯიბრების შთაბეჭდილების ტყვეობაში იყო, როცა კოლეგა ქალებთან თამაშს შეუდგა. ეს თავადაც იგრძნო სტარტზევე და ამიტომ გვერდს უვლიდა მძაფრ ტაქტიკურ შეხლა-შემოხლას, ცდილობდა მეტოქენი თავისი მდიდარი ტექნიკური არსენალით დაეჯაბნა. ასეთი თამაში სვლების დიდ სიმრავლეს იწვევს, ვიდრე მიზანს მიაღწევდე. ამიტომაც გაფრინდაშვილს ჩვიდმეტიდან ცამეტი პარტია გადადებული ჰქონდა. ამ პარტიების ანალიზმა (ნონას მწვრთნელი მხოლოდ შეჯიბრების ფინიშისთვის ჩამოვიდა) და თამაშმა ჩემპიონი კიდევ უფრო დაქანცა. სხვაგვარად ვერ ახსნი მის საოცარ შეცდომებს ე. ეპშტეინთან და ლ. სემიონოვასთან დასკვნითს პარტიებში.

ამ წარუმატებლობით მსოფლიო ჩემპიონმა გაკვეთილი მიიღო. შეცდომა ყველას შეიძლება მოუვიდეს. მომავალში ალბათ საჭიროა შეჯიბრებებში მონაწილეობის უფრო გონივრული დაგეგმვა.

ალექსანდრიამ საბოლოოდ მაინც გაიტანა ლელო, რაც მის უდიდეს ნებისყოფასა და ტალანტს უნდა მივაწეროთ. ფინიშზე ნანამ შეიძლება ითქვას, ვაჟკაცურად ითამაშა: ზედიზედ ხუთი პარტია მოიგო და მეორე ადგილზე გადაინაცვლა, მაგრამ ბოლო ტურის პარტიაში მას ძალა აღარ ეყო დიდი ჯაფით მოპოვებული წარმატების შესანარჩუნებლად და შეხვედრა წააგო. როგორც ჩანს, ნანამაც და ნონამაც მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ფიზიკურ წრთობას.

ახლა არავისთვის საიდუმლო აღარ არის, რომ მოჭადრაკეს ისევე კარგი ფიზიკური მომზადება და ჯანმრთელობა სჭირდება, როგორც, მაგალითად, მოკრივეს. თავად განსაჯეთ: ტურნირის 26 დღის მანძილზე მონაწილენი დღეში საშუალოდ 7-9 საათს ჭადრაკს უსხდნენ. ეს უდიდეს გონებრივ და ფიზიკურ ენერგიას მოითხოვდა.

ამ დიდ დატვირთვას გაუძლეს ჩვენმა საამაყო გოგონებმა — ნ. გურიელმა, მ. ჩიბურდანიძემ და ნ. იოსელიანმა. ჩვენი აზრით, ფინიშზე მათაც გაუჭირდათ, მაგრამ საერთოდ ძალიან დიდი, სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინეს.

გურიელის თამაში ერთ ლამაზ, უწყვეტ სიმღერას ჰგავდა. ნინო ჩემპიონებსაც არ ეპუებოდა. თამაშობდა თამამად, მთელი არსებით, ბრძოლისადმი დაუოკებელი ლტოლვით.

— ეს ნინო რა ყოფილა: თუ იერიში დაიწყო, გეშინოდეს! — ამბობდა ნონა.

მართლაც, გურიელის იერიშმა ფარხმალი დააყრევინა ნონას, ნანას და ლევიტინას გვირგვინოსნებს.

უაღრესად შეუპოვარი მოჭადრაკე აღმოჩნდა ნანა იოსელიანი. იგი ჯერ მხოლოდ 14 წლისაა და გიკვირს, საიდან აქვს ამდენი მოთმინება, წინდახედულება. სწორედ თავის გაუტეხელი ხასიათისა და სიდინჯით გადაარჩინა მან რამდენიმე პარტია, უვნებელყო მსოფლიო ჩემპიონის პოზიციური შეტევა.

ნონა ვერ მალავდა აღფრთოვანებას ჩვენი „შესანიშნავი სამეულის“ თამაშის გამო. ერთხელ შევესწარი მათს გულთბილ საუბარს, როცა ჩემპიონი გოგონებს ნიჭსა და შემართებას უქებდა, რჩევა-დარიგებას აძლევდა. გოგონები თვალებგაფართოებული უსმენდნენ და უნებურად გავიფიქრე: სწორედ ნონას მიუძღვის ღვაწლი, მის ნაკვალევზე ასეთი საიმედო, ნიჭიერი ახალგაზრდა მოჭადრაკეები რომ გვეზრდებიან-მეთქი.

ვიყოთ გულახდილნი: მაია ჩიბურდანიძისგან მეტს მოველოდით. მართალია, ჩემპიონატში მონაწილეობა მისთვის ერთგვარი წვრთნა იყო მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირისთვის (ეს შეჯიბრება 27 ნოემბერს დაიწყება თბილისში), მაგრამ მაინც მეტი გზნებით, მეტი გაქანებით უნდა ეთამაშა. ჩვენი აზრით, ნიჭიერი გოგონა თავიდანვე რაღაც შებოჭილი თამაშობდა, ნაკლებად იგრძნობოდა ბრძოლის წყურვილი. საქმე ისაა, რომ მთელი სექტემბერი მაიამ ზღვის პირად, ლესელიძეში გაატარა, სადაც ჯერ ოსტატ ს. იუფეროვთან მეცადინეობდა, მერე — დიდოსტატ ე. გუფელდთან. ჩემპიონატში ისე ჩაება, არ დაუსვენია. ამიტომაც აკლდა მის პარტიებს ნაპერწკალი, ურომლისოდაც ძნელია წარმატების მოპოვება.

რათა შეცდომა აღარ გამეორდეს, საზონათშორისო ტურნირის წინ მაიამ უნდა დაისვენოს, ნაკლებად ივარჯიშოს. მას უნდა სწყუროდეს თამაში, როცა პრეტენდენტის საგზურისთვის ბრძოლაში ჩაებმება.

რა თქმა უნდა, ჩვენი ნიჭიერი გოგონების ოსტატობაში ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი ხარვეზი შეინიშნება. ეს მათაც იციან და მათმა მწვრთნელებმაც. ჩემპიონატი დაეხმარებათ ამ ნაკლოვანებათა გამოვლენაში, გამოსწორებასა და დაძლევაში.

წარუმატებლად ითამაშა საქართველოს სამგზის ჩემპიონმა ც. კახაბრიშვილმა. იგი სათამაშოდ სულ ბოლო მომენტში დაუშვეს და, ცხადია, მარათონული ბრძოლისთვის მზად არ იყო. ციცინო თავდაუზოგავად იბრძოდა ყოველ პარტიაში, მაგრამ მის თამაშს მოქნილობა აკლდა. საერთოდ, იგი პოზიციური ყაიდის მოჭადრაკეა და ზოგჯერ ღალატობდა ინტუიცია, სათანადო სიფხიზლეს ვერ იჩენდა. კახაბრიშვილს შეეძლო ოსტატის ნორმატივის შესრულება, შეჯიბრებისთვის მოსამზადებელი დრო რომ ჰქონოდა. მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ციცინო ხვალ-ზეგ გადალახავს ოსტატის ზღუდეს.

მოჭადრაკე ქალთა ფორუმში ქართველ ოსტატთა თამაშზე კიდევ ბევრი რამ შეიძლება ითქვას. დღეს ჩვენ მხოლოდ პირველი შთაბეჭდილებები გაგიზიარეთ. ვიმეორებთ, არც ჩვენ გვეგონა თუ ჩემპიონის ოქროს მედლის ბედი ასე გადაწყდებოდა. მაგრამ ერთი კი ცხადია: მედლებიცა და საპრიზო ადგილებიც ღირსეულმა მეტოქეებმა გაინაწილეს.

თ. გიორგაძე.

ფეხბურთი

I ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა ბოლო ტურის წინ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ქაირათი“	37	23	8	6	52—22	54
„ნეფთჩი“	37	21	10	6	67—32	52
„ფახთაქორი“	37	18	11	8	61—29	47
„ტავრია“	37	17	12	8	57—29	46
„ნისტრუ“	37	15	14	8	51—38	44
„ტორპედო“	37	13	15	9	45—35	41
„ზვეზდა“	37	15	11	11	51—43	41
„კუზბასი“	37	16	7	14	58—47	39
„შინიკი“	37	15	7	15	40—38	37
„კოლხოზჩი“	37	15	7	15	58—60	37
„პამირი“	37	14	9	14	42—50	37
„სპარ.“ ი.-ფ.	37	13	10	14	45—50	36
„მეტალურგი“	37	13	8	16	36—39	34
ასკ რ.	37	12	10	15	38—42	34
„სპარტ.“ ორ.	37	10	14	13	38—50	34
„თერგი“	37	9	13	15	36—58	31
„რუბინი“	37	6	18	13	37—52	30
„ყუბანი“	37	10	7	20	33—67	27
„დაუგავა“	37	7	10	20	33—54	24
„იალბუზი“	37	4	7	26	30—73	15

საერთაშორისო ტურნირი ბათუმში

ბათუმში სტარტი აიღო ჭაბუკ ფეხბურთელთა (1959-60 წლებში დაბადებულები) საერთაშორისო ტურნირმა, რომელიც საბჭოთა კავშირის გმირის ი. ჯინჭარაძის სახელს ატარებს. ეს გათამაშება დაწესდა აჭარის დედაქალაქის კომკავშირისა და სპორტკომიტეტის ინიციატივით. პირველი შეჯიბრება გაიმართა 1974 წელს, მაშინ მასში გამოდიოდა სულ 4 გუნდი, შარშან მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა ერთით, წლეულს კი გმირის პრიზზე იასპარეზებს 8 გუნდი. ესენია: ბათუმის სპორტსკოლა, ბათუმის „დინამო“, ტაშკენტის „ინტერნატი“, ერევნის სპორტსკოლა, ბუხარის სპორტსკოლა, ვლადიმირის სპორტსკოლა, ლენინგრადის „კრასნი ტრეუგოლნიკი“ და ბულგარეთის ქალაქ ბლაგოევგრადის „პირინი“.

ბათუმი და ბლაგოევგრადი ძმადნაფიცი ქალაქები არიან, მჭიდრო საზოგადოებრივ-კულტურული ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან და ეს დამოკიდებულება ახლა ჭაბუკ ფეხბურთელთა მეგობრული შეხვედრებითაც განმტკიცდა.

ი. ჯინჭარაძის სახელობის თასის გათამაშება რამდენიმე დღეს გასტანს.

ი. კუსიდი,
(ჩვენი სპეც. კორ.).

გადამწყვეტი შეხვედრა

თბილისში დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობა ფეხბურთში.

გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის არმიის სპორტკლუბისა და გერმანიაში მყოფი საბჭოთა ჯარების ჯგუფის გუნდები. თამაში მიმდინარეობდა დაძაბულ ბრძოლაში. პირველ ტაიმში უპირატესობა თბილისელებს ჰქონდათ და 35-ე წუთზე სართანიამ გახსნა კიდეც ანგარიში.

შესვენების მერე 51-ე წუთზე, საპასუხო ბურთი გაიტანა ილურიძემ (იგი წარმოშობით გორელია), მაგრამ მასპინძლებმა კვლავ ხელთ აიღეს ინიციატივა და ხოფერიას ზუსტი დარტყმის შემდეგ გამარჯვებასაც მიაღწიეს — 2:1. გამარჯვებულები ამ მატჩში თამაშობდნენ შემდეგი შემადგენლობით: ქობელია, დიდუნაშვილი, ბარიგიანი, ღურწკაია, ჯანჭვაძე, ხუცურაული, ლევიძე, ხოფერია, გედელაძე, სართანია, ნუცუბიძე.

სპეციალური პრიზი გადაეცა თბილისის არმიელთა მწვრთნელს რ. ძოძუაშვილს. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ მიჩნეული იქნა გ. იანეცი (ცსკა).

აღსანიშნავია გათამაშების მომსახურე მსაჯთა კვალიფიციური არბიტრობა. კერძოდ, კარგად მოემსახურნენ შეჯიბრებას თ. გრიგორაშვილი, რ. ვერულეიშვილი, ა. ხარატიშვილი (ყველა — თბილისი).

ი. მჭედლიშვილი,
საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი მწვრთნელი.

საქართველოს ჩემპიონატი

დამთავრდა რესპუბლიკური ზონალური გათამაშება ფეხბურთში. მოგვყავს მათი საბოლოო ცხრილები:

გათამაშების ცხრილები

აღმოსავლეთის ზონა

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„თრიალეთი“ (წალკა)	10	7	2	1	20—7	16
„ფარვანა“ (ბოგდანოვკა)	10	6	1	3	12—11	13
„აბული“ (ახალქალაქი)	10	6	1	3	17—18	13
„გარისი“ (თეთრი წყარო)	10	5	0	5	9—10	10
„შულავერი“ (მარნეული)	10	3	2	5	16—23	8
„მევენახე“ (ბოლნისი)	10	0	0	10	0—5	0

II ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ქიმიკოსი“ (რუსთავი)	14	11	2	1	25—17	24
„არგოხი“ (ახმეტა)	14	8	2	4	24—11	18
„ფიჩხოვანი“ (ახმეტა)	14	8	2	4	11—10	18
„მშენებელი“ (ახმეტა)	14	7	4	3	16—15	18
„გამარჯვება“ (გარდაბანი)	14	4	4	6	13—29	12
„იორი“ (თიანეთი)	14	5	1	8	7—7	11
„იორი“ (სართიჭალა)	14	4	1	9	8—12	9
„მექანიკოსი“ (აგარა)	14	0	2	12	6—9	2

დასავლეთის ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ოჯალეში“ (გეგეჭკორი)	10	7	2	1	15—9	14
„ელექტრიკოსი“ (ზესტაფონი)	10	6	1	3	15—16	13
„კოლმეურნე“ (ცხაკაია)	10	5	1	4	15—11	11
„მაღაროელი“ (მახარაძე)	10	4	2	4	14—16	10
„ხაბუმე“ (ჩხოროწყუ)	10	4	1	5	18—16	9
„კოლმეურნე“ (ლანჩხუთი)	10	0	1	9	9—18	1

სტადიონი საცხოვრებელ მასივში

ჩვენი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ ხალხის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში ფიზკულტურისა და სპორტის ფართოდ დანერგვას. ყოველი მოსწავლე, ყოველი მშრომელი რეგულარულად უნდა ვარჯიშობდეს. ამიტომ ფიზკულტურა და სპორტი რაც შეიძლება ფართოდ უნდა დავნერგოთ მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებში, ყველა ეზოში, ყველა სახლში. საკითხის ამგვარი გადაწყვეტის საუცხოო მაგალითია საბურთალოს საცხოვრებელი მასივის VI კვარტალში შექმნილი ეზოს სპორტული კომპლექსი. ამ კომპლექსში შედის ფეხბურთის მინდორი, მინი-ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთისა და ხელბურთის მოედნები, პატარა საცურაო აუზი, ჩოგბურთის მაგიდები. კომპლექსი უკვე ათი წელია არსებობს და ამ ხნის მანძილზე საუკეთესო დასასვენებელ ადგილად იქცა ახლომდებარე სახლების ასობით მცხოვრებისთვის. ისინი ყოველ დილით ვარჯიშობენ, მერე კი კომპლექსი მთელი დღის განმავლობაში ბავშვების განკარგულებაშია. აქ ნორჩებთან ნაყოფიერ აღმზრდელობით მუშაობას ეწეოდა წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ე. ნიკოლაიშვილი, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ მდგომარეობა გაუარესდა.

წლეულს სპორტულ კომპლექსზე შეფობა ითავეს სამთო მექანიკის ინსტიტუტის (დირექტორი ე. მინდელი) თანამშრომლებმა. მათ რამდენიმე შაბათობა გამართეს — კეთილმოაწყვეს კომპლექსი — სარბენ ბილიკზე ასფალტი დააგეს, აღადგინეს ღობე, შეაკეთეს ჩოგბურთის მაგიდები, დაასუფთავეს ტერიტორია... ისევ განახლდა სპორტული ცხოვრება. ახლა საჭიროა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის რაც შეიძლება ფართოდ გაშლა. ეს ევალება № 83 საბინაო-საექსპლოატაციო კონტორას (უფროსი ე. ასკურავა), რომლის ტერიტორიაზეც კომპლექსი მდებარეობს. საამისოდ შესაძლებლობები არსებობს. კარგი იქნება, თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაებმებიან ყოფილი ცნობილი სპორტსმენები, ფიზკულტურული მუშაკები, რომლებიც კომპლექსთან ახლოს ცხოვრობენ. მაგალითად, ესენი არიან ცნობილი ბადროს მტყორცნელი გ. გუდაშვილი, სპორტის ოსტატი ფრენბურთელები ვ. გავრილენკო და ო. ხარიტონოვი, ჩოგბურთელი რ. ცაგარელი, ქართული სპორტის ვეტერანი ა. ბაქრაძე და სხვები. ჯერჯერობით კი ერთადერთი, ვინც მთელ თავისუფალ დროს ბავშვებს უთმობს, არის აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების უფროსი საქონელმცოდნე ანზორ ჭეხაშვილი. იგი წვრთნის ნორჩ ფეხბურთელთა გუნდს „მერცხალს“, რომელიც შარშან წარმატებით გამოდიოდა საქალაქო პირველობაში „ტყავის ბურთის“ პრიზზე და II ადგილი დაიკავა. მაგრამ № 83 საბინაო-საექსპლოატაციო კონტორას სხვა ასეთი დამხმარე არა ჰყავს. ამავე დროს, მხოლოდ საზოგადოებრიობის დახმარებით შეიძლება მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაშლა საცხოვრებელ ადგილებში. ახლა ხომ სპორტულ კომპლექსს შესანიშნავი შეფები ჰყავს. მას ყურადღებას აქცევენ ორჯონიკიძის რაიონის ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტული სკოლის დირექტორი გ. გუგუშვილი, რაიონული სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ა. ბეროზაშვილი. ახლახან, მაგალითად, ამ სპორტული კომპლექსის ბაზებზე ჩატარდა სპარტაკიადა „ჯანმრთელობა“ საბინაო-საექსპლოატაციო კონტორების გუნდებს შორის. იმის შესახებ, თუ რამდენად საჭიროა და სასარგებლო ეს ღონისძიება, წარმოდგენას გვიქმნის ჩვენი კორესპონდენტის ბ. ქვათაძის მიერ გადაღებული ფოტოსურათები, რომლებსაც დღეს ვთავაზობთ მკითხველს.

* * *

სურათებზე: შეჯიბრება ბაგირის გადაძალვაში. მარჯვნივ—საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში გ. გუდაშვილი; ასპარეზობენ ნორჩი ფეხბურთელები; იქნებ ეს ნორჩი ველომრბოლელები მომავალი ჩემპიონები არიან?

პროფკავშირების სპარტაკიადა

რისკის საზღაური

საქართველოს პროფკავშირულ სპორტსაზოგადოებათა ახალგაზრდული გუნდების სპარტაკიადის პროგრამა საგზატკეცილო ველორბოლის ოსტატებისთვის 100 კილომეტრზე გუნდურ რბოლასა და 150 კილომეტრზე ჯგუფურ ასპარეზობას ითვალისწინებდა.

მაგრამ მწვრთნელთა და წარმომადგენელთა წინასწარ თათბირზე, რომელიც სამანდატო კომისიის მუშაობის დღეს გაიმართა, მსაჯთა კოლეგიასა და შეჯიბრების ჩამტარებელ ორგანიზაციას თითქმის ყველა მწვრთნელმა სთხოვა: რადგან სეზონი უკვე დასრულდა, არც ამინდი გვიწყობს ხელს და სპორტსმენებს გაწვრთნილობა აკლიათ, დისტანციები შევამციროთო.

თხოვნა თითქმის უსაფუძვლო არ იყო და გადაწყდა, რომ გუნდური რბოლა 50 კილომეტრზე ჩაეტარებინათ, ხოლო ჯგუფური ასპარეზობა 75 კილომეტრზე გამართულიყო. ასეთი დათმობის შემდეგ უშეღავათო ბრძოლას ველოდით, მაგრამ იმედი არ გამართლდა. დისტანციის ბოლომდე თავდაუზოგავად რბოლა ბევრმა ვერ შეძლო.

გუნდური რბოლის დროს (კოლექტივებს 4-4 მონაწილე გამოჰყავდათ) მთელ დღეს წვიმდა და ციოდა, რაც ძალიან ართულებდა საქმეს. ჯგუფური რბოლის დღეს მონაწილეებს ამინდი ხელს არ უშლიდათ, მაგრამ ნამდვილი მებრძოლის თვისებები მხოლოდ 5-6 ველოსიპედისტმა გამოავლინა. ეს ჯგუფი ძირითად მასას მეორე კილომეტრიდან გაექცა და ჩამორჩენილებთან სხვაობას თანდათან ზრდიდა.

ჩამორჩენილთა ჯგუფში კი სურვილიც არავის გასჩენია (ალბათ არც სამისო ძალა შესწევდათ), რომ ლიდერებს წამოსწეოდა და საპრიზო ადგილისთვის ებრძოლა. „ბურევესტნიკის" წევრმა, პირველთანრიგოსანმა მ. გამრეკელიძემ (№ 147) კი მდგომარეობის გამოსწორება ბუქსირის დახმარებით სცადა — საბარგო მანქანას გამოება, რისთვისაც შეჯიბრებიდან მოიხსნა.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ უფროსმა მსაჯმა გ. ფარცვანიამ და მწვრთნელებმა ერთხმად განაცხადეს რესპუბლიკაში ახალგაზრდა ველოსიპედისტთა დაოსტატებას სათანადო ყურადღება არ ექცევათ, წლეულს მათ არც ერთ საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ცხადია, დიდ ტურნირებში შეძენილი გამოცდილება მნიშვნელოვანი ფაქტორია სპორტული ტექნიკის სრულყოფისთვის, მაგრამ იმაზე რაღას გვეტყვიან, რომ ველოსიპედისტთა უმეტესობას ფიზიკური მომზადებაც აკლდა? ტურნირისთვის მოუმზადებელი იყვნენ „ლოკომოტივის", „შრომითი რეზერვებისა" და „ბურევესტნიკის" კოლექტივები, რომლებმაც ამავე თანმიმდევრობით გაინაწილეს ბოლო ადგილები. ისინი შესაბამისად 24, 22 და 20 ქულას დასჯერდნენ, მაშინ, როცა „განთიადმა" 72 ქულა მოაგროვა, „კოლმეურნემ" — 66, „სპარტაკმა" — 56.

„განთიადმა" ყველას აჯობა. გუნდურ რბოლაში ამ საზოგადოების წევრებმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატებმა რ. ქრისტესიაშვილმა, ვ. ვარსემაშვილმა, ა. სივოქელეზოვმა და ზ. ძულიაშვილმა 50 კილომეტრის გავლას 1:09.57 მოანდომეს და „სპარტაკს" ფინიშზე 30 წამით მიასწრეს. III ადგილზე გავიდა „კოლმეურნე" — 1:12.28.

სამაგიეროდ, „კოლმეურნის" სპორტსმენებმა ჯგუფურ რბოლაში ყველაზე მეტი ქულა მოაგროვეს და საერთო გუნდურ ჩათვლაში კოლექტივი II ადგილზე გაიყვანეს. პირადი პირველობა მოიგო ქუთაისის მუშა-ახალგაზრდობის მე-6 საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლემ ა. ფხაკაძემ. 75 კილომეტრი მან 1 საათში, 38 წუთსა და 11 წამში გაიარა. სპარტაკელ გ. ერდმანს ფხაკაძემ ფინიშზე მძლავრი ბიძგის წყალობით წამით მიასწრო. III ადგილი ერგო ვარსამაშვილს (1:38.13), რომელიც მთელ შეჯიბრებებს ტონს აძლევდა.

ამ ასპარეზობაში მტკიცე ნებისყოფა გამოიჩინა ზ. ძულიაშვილმა. გზაში მას მანქანა დაუზიანდა, მაგრამ სპორტსმენმა გუნდის ინტერესებისთვის არა მარტო ფინიშამდე გაძლო, არამედ დიდი რისკის ფასად (ერთი გაუფრთხილებელი მოძრაობის შემთხვევაშიც კი მძიმე ტრავმა იყო მოსალოდნელი) მეოთხე ადგილის მოპოვებაც შეძლო.

გაისად რესპუბლიკური და საკავშირო ახალგაზრდული თამაშები ტარდება. თუ ნაკრებმა ამთავითვე ინტენსიური მზადება არ დაიწყო, მერე გვიანღა იქნება.

ო. ივდოშვილი,
(ჩვენი სპეც. კორ.).

მცხეთა.
ნატახტარი.

* * *

სურათზე: ჯგუფურ რბოლაში გამარჯვებულ ა. ფხაკაძეს წარმატებას ულოცავს სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. ფხაკაძე.
ავტორის ფოტო.

მეტს ველოდით

ახალგაზრდული გუნდების სპარტაკიადის პროგრამით ტანმოვარჯიშეები დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნისა (გოგონები) და „განთიადის" ცენტრალური საბჭოს (ვაჟები) სპორტდარბაზებში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

გოგონათა გუნდები მხოლოდ „განთიადმა", „სპარტაკმა", „ლოკომოტივმა" და „კოლმეურნემ" გამოიყვანეს. ოსტატთა პროგრამით მოასპარეზეთა შორის ყველაზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა ე. გოლოვატენკო, რომელმაც მრავალჭიდში 74,1 ქულა მოაგროვა. (მანვე მოიგო ხტომა, ძელზე შეჯიბრება და თავისუფალი ვარჯიში), II ადგილი წილად ხვდა ო. ვისოტინას (ორივე — „განთიადი") — 73,8 (იგი პირველი იყო ორძელზე). მათ საგრძნობლად ჩამორჩა რკინიგზელთა გუნდის წევრი ო. დარჩია — 71,4.

სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით ჩემპიონი გახდა განთიადელი მ. ხრიკაძე — 72,3. მომდევნო ადგილები ერგოთ დ. ხაზარაძესა („ლოკომოტივი", 70,5) და ს. ფილატოვას („განთიადი", 70,0).

გუნდურ ჩათვლაში „განთიადმა" 273 ქულა მოაგროვა და გაიმარჯვა. II ადგილზეა „სპარტაკი" — 140 ქულა, III — „ლოკომოტივი" — 123. „კოლმეურნის" სპორტსმენებმა მხოლოდ 51 ქულა მოაგროვეს

ვაჟთა შორის სარბიელზე ვიხილეთ „განთიადის", „ლოკომოტივის", „სპარტაკის", „ბურევესტნიკის", „შრომითი რეზერვებისა" და „კოლმეურნის" წარმომადგენლები. სამწუხაროდ, სტუდენტთა და რკინიგზელთა [illegible] მხოლოდ 2-2 სპორტსმენი იცავდა. შედეგები დაბალი იყო.

რკინიგზელთა გუნდის წევრს ლ. ვენეცკის გამარჯვებისთვის 99,85 ქულაც ეყო. მან მოიგო ხტომები, ორძელზე, რგოლებსა და ტაიჭზე ვარჯიში. ფ. ბოკერიამ („შრომითი რეზერვები"), რომელიც მრავალჭიდში II ადგილზე გავიდა (93,45 ქულა), ძელზე და თავისუფალ ვარჯიშში ყველას აჯობა. III ადგილზეა რ. სუკიასიანი („განთიადი") — 93,25.

გუნდურ ჩათვლაში აქაც „განთიადმა" იმარჯვა — 130 ქულა. II ადგილზე გავიდა „შრომითი რეზერვები" — 111, III — „ლოკომოტივი" — 104. სპარტაკელებმა 28 ქულა მიიღეს, „კოლმეურნემ" — 24, ხოლო „ბურევესტნიკი" 16 ქულას დასჯერდა.

შეჯიბრება ორგანიზებულად ჩაატარა საკავშირო კატეგორიის არბიტრმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა ო. ქორქიამ.

რუსუდან შანშიაშვილი.

ფინეთში სულ უფრო პოპულარული ხდება სათხილამურო აკრობატიკა. **სურათზე:** მაერში ვარჯიშს ასრულებენ ს. ლარსენი და ფ. სიფერმანი.
საკდესის ფოტო.

ევროპის ფეხბურთის ამბები

წილისყრა — 5 ნოემბერს

როგორც ცნობილია, უეფა-ს თასს ორჯერ მეტი მონაწილე ჰყავს, ვიდრე ჩემპიონთა და თასების მფლობელთა თასებს. ამიტომ ამ შეჯიბრებაში მეტი მატჩების ჩატარებაა საჭირო, ვიდრე სხვა ორ ტურნირში.

მერვედფინალური მატჩების შემდეგ ჩემპიონთა და თასების მფლობელთა თასების მონაწილენი გაზაფხულამდე ისვენებენ, უეფა-ს თასის მონაწილეები კი გააგრძელებენ ბრძოლას. მათი მერვედფინალური შეხვედრების წილისყრა გაიმართება 5 ნოემბერს. სათამაშო დღეებია 24 ნოემბერი და 8 დეკემბერი.

„ფერენცვაროში" დაისაჯა

უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის დადგენილებით ქვეყნის ჩემპიონი „ფერენცვაროში" დაისაჯა — იგი 1977 წლის მარტამდე ვერ ჩაატარებს ვერც ერთ საერთაშორისო მატჩს ვერც უნგრეთში და ვერც საზღვარგარეთ. ერთადერთი გამონაკლისი გახლავთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება.

რამ გამოიწვია ფედერაციის ესოდენ მკაცრი გადაწყვეტილება? საქმე ისაა, რომ უნგრეთში ტრადიციულად ტარდება ტურნირი იმ გუნდებს შორის, რომლებიც ოდესმე ქვეყნის ჩემპიონები იყვნენ, „ფერენცვაროში" კი არასერიოზულად მოეკიდა ამ შეჯიბრებას და „ჰონვედის" წინააღმდეგ მეორე შემადგენლობა გამოიყვანა.

„ოქროს ბუცი" — კაიაფასს

ამ დღეებში პარიზში გაიმართა ტრადიციული ჯილდოს — „ოქროს ბუცის" გადაცემის ცერემონიალი. პრიზი ეძლევა ფეხბურთელს, რომელიც ევროპის ქვეყნების ეროვნულ ჩემპიონატებში ყველაზე მეტ ბურთს გაიტანს.

ამჯერად „ფრანს ფუტბოლის" ტრადიციული ჯილდო გადაეცა არა საერთაშორისო ფეხბურთის რომელიმე ვარსკვლავს, არამედ ნაკლებად პოპულარულ ოსტატს, რომელსაც მიმდინარე სეზონამდე თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ არავინ იცნობდა. ეს გახლავთ კვიპროსის ქ. ნიქოზიის კლუბ „ომონიას" (ცენტრალური თავდამსხმელი კაიაფასი. მან ეროვნულ ჩემპიონატში 39 ბურთი გაიტანა.

ალტაფინი ყოველთვის ალტაფინია

ცნობილი ფეხბურთელი, 38 წლის ალტაფინი, რომელიც გულშემატკივართა კერპი იყო ჯერ ბრაზილიაში, ხოლო შემდეგ იტალიაში, 1975-76 წლების სეზონის დამთავრების შემდეგ გამოეთხოვა ტურინის „იუვენტუსს" და შვეიცარიის II ლიგის კლუბ „კიასოში" გადავიდა. რა თქმა უნდა, ამ კლუბის შედარება „იუვენტუსთან" შეუძლებელია, მაგრამ ალტაფინიმ შვეიცარიელებსაც ბევრი რამ გაუკეთა. ჯერ ერთი „კიასოს" სტადიონზე, რომელსაც არასოდეს ჰყავდა ბევრი მაყურებელი, მოხვედრა ახლა ძნელი ამბავი გახდა, მეორეც — ვეტერანს ყველა თამაშში გააქვს გოლი (ხშირად რამდენიმე) და „კიასოც" პირველ ადგილზე გავიდა.

ერთი სიტყვით, ალტაფინიმ ნათლად დაამტკიცა, რომ იგი ყოველთვის ალტაფინია.

„ასიანთა კლუბში"

„ასიანთა საერთაშორისო კლუბში" შედიან ის ფეხბურთელები, რომლებსაც თავიანთი ქვეყნების ეროვნულ ნაკრებში 100 და მეტი მატჩი აქვთ ჩატარებული. კლუბი ჯერჯერობით ფრიად მცირერიცხოვანია. მის შემადგენლობაში შედიან მხოლოდ მური (108 მატჩი), ბ. ჩარლტონი (106), რაიტი (105), სვენსონი (104), ბეკენბაუერი (101) და ბოჟიკი (100).

43-ე ტირაჟის შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი, 43-ე ტირაჟისა, რომელიც 27 ოქტომბერს გაიმართა მოსკოვში.

„სპორტლოტო": ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5.000 მანეთია (34 ბარათი), ოთხისთვის — 92 (2.401), სამისთვის — 4 (56.588).

„სპორტლოტო-2": ექვსი ნომერი გამოიცნო ცელინოგრადის ერთმა მცხოვრებმა, რომელიც 5.000 მანეთს მიიღებს. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 1.135 მანეთია (56), ოთხისთვის — 29 (2.607), სამისთვის — 3 (36.960).

მოგებული თანხა გაიცემა 7 ნოემბრიდან 7 დეკემბრის ჩათვლით.

„შაბათის სპორტლოტო"

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. დღეს აქ გაიმართა „შაბათის სპორტლოტოს" მორიგი, მე-12 ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები:

პირველი ტირაჟი: 8, 15, 16, 18, 34.

მეორე ტირაჟი: 5, 12, 18, 27, 30.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

თბილისის სპორტული [illegible]

რაგბი. „ლოკომოტივის" სტადიონი. **დღეს.** სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალი. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ფილი" (მოსკოვი). დასაწყისი 16 ს.

მძლეოსნობა. „ლოკომოტივის" სტადიონი. **დღეს.** საქართველოს პროფსაბჭოს სპეციალიზებული სპორტული სკოლის ღია პირველობა და საქართველოს პროფკავშირულ სპორტსაზოგადოებათა ახალგაზრდული გუნდების სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება. დასაწყისი 11 ს.

ახალი წესებით

ლისაბონი. 1977 წლის 1 აგვისტოდან ხელბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრებებში ხუთწუთიანი ჯარიმის წესი შეიცვლება. ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის (იხფ) კონგრესმა ლისაბონის მახლობლად, ესტორიალში. ამიერიდან გამოყენებული იქნება მხოლოდ ორი წუთით გაძევების წესი. მესამე დარღვევის შემდეგ კი ხელბურთელი ავტომატურად ეთიშება თამაშს მატჩის ბოლომდე.

პაულ ჰოგბერგი (შვეცია) კვლავ აირჩიეს იხფ-ს პრეზიდენტად. უგანდისა და ერაყის მიღების შემდეგ ეს ფედერაცია 65 ეროვნულ კავშირს აერთიანებს.

(საკდეს).